



# საჩუქრადი წერილი





## სახელმწიფო აუდიტის სამსახური

სარეკომენდაციო წერილი

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2018  
წლის 31 დეკემბრით დასრულებული  
საანგარიშგებო პერიოდისთვის  
კონსოლიდირებული ფინანსური  
ანგარიშგების აუდიტი

23 ოქტომბერი 2019 წელი

საქართველოს ფინანსთა მინისტრს,

ბატონ ივანე მაჭავარიანს

ბატონო ივანე,

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მიზანს წარმოადგენს, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა შეცდომით ან თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორული დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. აუდიტს წარვმართავდით უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) მიხედვით.

აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, შევისწავლეთ შესაფერისი შიდა კონტროლის მექანიზმები, ასევე შევავსეთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობა, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობა.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული პერიოდისთვის მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა გასცა პირობითი მოსაზრება.

წარმოგიდგენთ სარეკომენდაციო წერილს, რომელიც ასახავს აუდიტის პროცესში აღმოჩენილ უზუსტობებს, ნაკლოვანებებსა და მათ აღმოსაფხვრელად სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემულ რეკომენდაციებს.

პატივისცემით,

გენერალური აუდიტორი  
ერეკლე მექვაბიშვილი



## შინაარსი

|                        |                                                                             |          |
|------------------------|-----------------------------------------------------------------------------|----------|
| <b>ძირითადი ნაწილი</b> | <b>ტერმინები და შემოკლებები</b>                                             | <b>2</b> |
|                        | 1. პირობითი მოსაზრების საფუძველი                                            | 3        |
|                        | 2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები                                             | 9        |
|                        | 3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი | 11       |
|                        | 4. საკონტაქტო ინფორმაცია                                                    | 13       |

## ტერმინები და შემოკლებები

**სამინისტრო** - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;

**შემოსავლების სამსახური** - საჯარო სამართლის იურიდიული პირი შემოსავლების სამსახური;

**მომსახურების სააგენტო** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო;

**საგამომიებო სამსახური** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური;

**საფინანსო-ანალიტიკური სამსახური** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი საფინანსო-ანალიტიკური სამსახური;

**სახაზინო სამსახური** - საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური;

**ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქცია** - საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

**კომისია** - ვადაგადაცილებული საგადასახადო დავალიანებებისა და სასესხო დავალიანებების რესტრუქტურის მიზანშეწონილობის საკითხის შემსწავლელი კომისია.

## 1. პირობითი მოსაზრების საფუძველი

### 1.1 საბიუჯეტო სესხები

#### გამოვლენილი გარემოება:

სამინისტროს სახაზინო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, აწარმოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული<sup>1</sup> და რესტრუქტურიზებული სესხების<sup>2</sup> რეესტრებს.

ქვემოთ მოცემულ N4 ცხრილში წარმოდგენილია ინფორმაცია რეესტრის მიხედვით ფინანსთა სამინისტროზე რიცხული სესხების შესახებ:

#### ცხრილი N4

| დასახელება                                               | სესხების<br>რაოდენობა<br>31.12.2018 | 01.01.2018         | 31.12.2018         |
|----------------------------------------------------------|-------------------------------------|--------------------|--------------------|
| <b>სულ</b>                                               | <b>92</b>                           | <b>413,762,587</b> | <b>440,762,648</b> |
| სესხები, რომელთა მოთხოვნის<br>უფლება გააჩნია სამინისტროს | 40                                  | 352,750,805        | 375,235,357        |
| რესტრუქტურიზებული სესხები                                | 29                                  | 11,716,550         | 13,596,170         |
| სხვა სამინისტროებზე<br>მისაკუთვნიებული სესხები           | 16                                  | 36,501,228         | 38,971,553         |
| ლიკვიდირებულ ორგანიზაციებზე<br>მიკუთვნიებული სესხები     | 7                                   | 12,794,004         | 12,959,568         |

სამინისტროს კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში აღრიცხულია მხოლოდ ერთი სესხი რომლის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრისათვის შეადგენს 9,211,242 ლარს. ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, გაცემული სესხები, რომლის დაბრუნებასაც მოელის სამინისტრო, აკმაყოფილებენ აქტივებად<sup>3</sup> აღიარების კრიტერიუმებს. სამინისტროს არ აქვს შემუშავებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემული სესხების ანგარიშგებაში ასახვასთან დაკავშირებით, ასევე არ ხდება, ყოველწლიურად ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისათვის სესხების ამოღების ალბათობის შეფასება.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ ანგარიშზე რიცხული 92,124,220 ლარისა და 98,881,700 ლარის, ასევე, „გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნების“ ანგარიშზე რიცხული 6,262,360 ლარისა და 9,754,815 ლარის ნაშთის სისრულეზე.

სამინისტროს ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, კომისიამ შეაფასოს გაცემული სესხების ამოღების შესაძლებლობა, დააიდენტიფიციროს უიმედო სესხები, ხოლო დანარჩენი სესხები და სესხებიდან მიღებული სარგებელი სამინისტრომ ასახოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### რეკომენდაცია N1.

კომისიას და ფინანსთა  
სამინისტროს

<sup>1</sup> სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული სესხების რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2015 წლის 18 ივნისის N180 ბრძანება.

<sup>2</sup> საგადასახადო დავალიანებებისა და სახელმწიფო სესხების რესტრუქტურიზაციის შესახებ საქართველოს კანონის და რესტრუქტურიზებული ვალდებულებების ერთიანი რეესტრის წარმოების წესისა და რეესტრის ფორმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 24 დეკემბრის N382 ბრძანება.

<sup>3</sup> აქტივი – რესურსი, რომელსაც ერთეული აკონტროლებს წარსულში მომხდარი მოვლენების შედეგად და საიდანაც მოელის ეკონომიკური სარგებლის ან მომსახურების პოტენციალის მიღებას;

## 1.2 სასამართლო დავები

### გამოვლენილი გარემოება:

სასამართლო გადაწყვეტილებების მიხედვით, 2018 წელს სხვადასხვა ორგანიზაციებს სამინისტროს სასარგებლოდ დაეკისრათ 2,970,454 ლარის გადახდა, აღნიშნული თანხა სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხული არ არის. ასევე, არ აღრიცხულა ფინანსური ანგარიშგების თარიღის შემდგომ გამოცემული სასამართლოს გადაწყვეტილება შემოსავლების სამსახურის სასარგებლოდ 380,287<sup>4</sup> ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს მაკორექტირებელ მოვლენას და ექვემდებარება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას, რადგან იძლევა ინფორმაციას ანგარიშგების თარიღამდე არსებულ მოვლენებზე.

სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული სააღრიცხვო პოლიტიკა მოთხოვნების, პირობითი აქტივების და პირობითი ვალდებულებების შესახებ. არ არის გაწერილი პოლიტიკა სასამართლო დავებთან დაკავშირებით თუ როგორ უნდა მოხდეს მოთხოვნების ან ვალდებულებების აღიარება, არ არის დადგენილი იურიდიულ სამსახურთან კომუნიკაციის წესი და პირობები, არ ხდება სასამართლო დავების მოსალოდნელი შედეგების შეფასება და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1 „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ სისრულის შესახებ.

### რეკომენდაცია N2.

ფინანსთა სამინისტროს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, სამინისტრომ შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა - დაკისრებული ჯარიმების, პირგასამტეხლობების, სანქციების, სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად დაკისრებული თანხების ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვასთან დაკავშირებით. ასევე, შეაფასოს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებების შედეგად სხვადასხვა ორგანიზაციაზე დაკისრებული თანხების ამოღების ალბათობის და შემდგომში სარგებლის მიღების შესაძლებლობა.

## 1.3 ნივთმტკიცებად

ამოღებული თანხების  
აღრიცხვა

### გამოვლენილი გარემოება:

საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში „საქონელი და მომსახურების“ ანგარიშზე ხარჯად აღიარებულია სასამართლოში, საგამოძიებო სამსახურის მიერ, ნივთმტკიცებად წარდგენილი თანხა, რაც არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს<sup>5</sup>. ნაცვლად ხარჯად აღიარებისა, საგამოძიებო სამსახურს ნივთმტკიცებად ამოღებული თანხებით უნდა გაეზარდა „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიში. საგამოძიებო სამსახურმა ვერ წარმოადგინა ინფორმაცია 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სასამართლოს მიერ ნივთმტკიცებად ამოღებული თანხის შესახებ. მხოლოდ 2018 წლის განმავლობაში, სასამართლოდან გასულ პერიოდებში ნივთმტკიცებად ამოღებული და საგამოძიებო სამსახურისთვის უკან დაბრუნებულმა თანხამ შეადგინა 177,350 ლარი.

<sup>4</sup> 138,036 ლარი აღნიშნული მოთხოვნიდან წარმოადგენს „სხვა მოკლევადიან მოთხოვნებს“, ხოლო 242,251 ლარი წარმოადგენს „სხვა მოკლევადიან ფინანსურ აქტივებს“

<sup>5</sup> მუხლი 17 პირველი პუნქტის „3.ვ“ ქვეპუნქტი

**რეკომენდაცია N3.**

საგამოძიებო სამსახურს

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სამინისტროს ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე აღრიცხული თანხის 12,649,995 ლარის სისრულეზე და სისწორეზე.

საგამოძიებო სამსახურმა, სალაროდან გაცემული თანხების მოძრაობის კონტროლის მიზნით, შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა, ნაცვლად ხარჯებში ჩამოწერისა, სასამართლოს მიერ ნივთმტკიცებად ამოღებული თანხები აღრიცხოს „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე. ასევე ჩაატაროს შესაბამისი პროცედურები და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხოს წინა წლებში ნივთმტკიცებად ამოღებული თანხები.

**1.4 დანაკლისები****გამოვლენილი გარემოება:**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში ერიცხება 486,615 ლარის დანაკლისი. საიდანაც 341,440<sup>6</sup> ლარის დანაკლისი წარმოქმნილია შემოსავლების სამსახურში, ხოლო 84,489 ლარის დანაკლისი სამინისტროს აპარატში. ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ინვენტარიზაციის ჩატარების წესის<sup>7</sup> და ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად ორგანიზაციები ვალდებული არიან შეაფასონ ყოველი წლის ბოლოს მოთხოვნებისა და ვალდებულებების რეალობა და ამოღების ალბათობა, რაც შემოსავლების სამსახურის შემთხვევაში, განხორციელებული არ არის, ხოლო აპარატის შემთხვევაში განხორციელებულია ნაწილობრივ.<sup>8</sup>

ასევე დანაკლისების ანგარიშზე აღრიცხული მთლიანი თანხიდან, 225,638<sup>9</sup> ლარის დანაკლისი წარმოქმნილია 2008 წლის საომარი მოქმედებების შედეგად. აღნიშნულ დანაკლისების ამოღების ალბათობა დაბალია, რადგანაც დაუდგენელია დამნაშავე პირები და სამართალდამცავ უწყებებში საქმე აღძრული არ არის.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე აღრიცხული თანხის 440,922 ლარის არსებობაზე.

**რეკომენდაცია N4.**

ფინანსთა სამინისტროს

სამინისტრომ, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, ინვენტარიზაციის წესის შესაბამისად, სამართალდამცავი ორგანოებიდან პერიოდულად მოიპოვოს ინფორმაცია დანაკლისებად რიცხულ თანხებთან დაკავშირებით მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების შესახებ. ომის შედეგად წარმოქმნილ დავალიანებებთან მიმართებით, შეაფასოს აღნიშნული დანაკლისების ამოღების ალბათობა, თანხების ან აქტივების დაუბრუნებლობის შემთხვევაში იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**1.5 მიქცეული და****განსაკარგავად გადმოცემული ქონება****გამოვლენილი გარემოება:**

მომსახურების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონება. სააგენტოსათვის

<sup>6</sup> გარდა საომარი მოქმედებების შედეგად წარმოშობილი დანაკლისებისა (174,828 ლარი), 166,612 ლარის ღირებულების ფასეულობათა დანაკლისებზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმეები

<sup>7</sup> მუხლი 11 ფინანსური აქტივების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია, პუნქტი 6

<sup>8</sup> შინაგან საქმეთა სამინისტროდან მოპოვებულია ინფორმაცია 45,693 ლარის აქტივების დანაკლისზე მიმდინარე გამოძიების შესახებ

<sup>9</sup> სხვა მანქანა-დანადგარები, ინვენტარი და სატრანსპორტო საშუალებები.

გადმოცემული ქონება აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს, სააგენტოს გააჩნია კონტროლი აღნიშნულ მარაგებზე და იღებს სარგებელს მათი რეალიზაციის შედეგად<sup>10</sup>.

შედეგად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მატერიალური მარაგების“ ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის და 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შესაბამისად 4,263,394 და 6,106,766 ლარით შემცირებულად. ასევე აღნიშნული თარიღებით მომსახურების სააგენტოს ნაშთად ერიცხება შეუფასებელი/ნულოვანი ღირებულების მქონე 22,889 და 36,469 სხვადასხვა დასახელების საქონელი<sup>11</sup>.

#### რეკომენდაცია N5.

მომსახურების სააგენტოს

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის, აქტივების დაცულობის და კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, მომსახურების სააგენტომ მიქცეული და განსაკარგავად გადმოცემული ქონება აღრიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში და ინვენტარიზაციის წესის შესაბამისად ყოველწლიურად ჩაატაროს ინვენტარიზაცია.

#### 1.6 გრძელვადიანი

##### მცირეფასიანი აქტივები

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, აღრიცხვის ორგანიზებასა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, ძირითად აქტივებს, გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებსა და ფასეულობებს მიღებისას ენიჭებათ საინვენტარო ნომრები, რომლებიც რჩებათ მოცემულ აქტივებს ორგანიზაციაში ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში<sup>12</sup>.

სამინისტროს აპარატში ასევე შემუშავებულია შიდა ინსტრუქცია გრძელვადიან მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვასთან დაკავშირებით, რომლითაც ასევე განსაზღვრულია გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების საინვენტარო ნომრების მინიჭების საკითხი<sup>13</sup>.

საგამოძიებო და შემოსავლების სამსახურის ინვენტარიზაციის მასალების შესწავლით გამოვლინდა, რომ როგორც საწყობში არსებულ, ისე ექსპლუატაციაში გადაცემულ გრძელვადიან მცირეფასიან აქტივებს მთლიანი ღირებულებით 8,395,560 ლარი<sup>14</sup>, არ აქვთ მინიჭებული საინვენტარიზაციო ნომრები. ორივე სამსახურს სპეციფიკიდან გამომდინარე ერიცხება 6,407,899 ლარის ღირებულების რბილი ინვენტარი და უნიფორმები<sup>15</sup>, რომლებზეც საინვენტარო ნომრების მინიჭება და ინვენტარიზაციის შედეგებში ასახვა სრულყოფილად ვერ ხორციელდება.

ასევე საგამოძიებო სამსახურში ჩატარებული 2017 წლის ფინანსური აუდიტის ფარგლებში გაცემული იყო რეკომენდაცია სპეციფიკურ აქტივებთან დაკავშირებით საინვენტარიზაციო ნომრების მინიჭების საკითხზე, რომელიც 2018 წლის ჩატარებული ინვენტარიზაციისას არ არის შესრულებული.

შემოსავლების სამსახურს 2014 წლიდან უცვლელად ერიცხება ასევე 265,888 ლარის ღირებულების სხვადასხვა სამსახურეობრივი უნიფორმები, რომელთა შემდგომი გამოყენების და სარგებლის მიღების ალბათობა დაბალია.

<sup>10</sup> ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მესამე მუხლის პირველი პუნქტის გ ქვეპუნქტი

<sup>11</sup> სასმელები, საიუველირო ნაკეთობები, საოჯახო ტექნიკა და ინვენტარი სატრანსპორტო საშუალებები და ა.შ

<sup>12</sup> მუხლი 145. არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვა, მესამე პუნქტი

<sup>13</sup> საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება N324 საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ცენტრალურ აპარატის ბალანსის საცნობარო (10) მუხლში გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების აღრიცხვის შესახებ

<sup>14</sup> მათ შორის: საგამოძიებო სამსახური 739,694 ლარი და შემოსავლების სამსახური 7,655,866 ლარი

<sup>15</sup> მათ შორის: შემოსავლების სამსახური 6,260,819 და საგამოძიებო სამსახური 147,080 ლარი

**რეკომენდაცია N6.**

ფინანსთა სამინისტროს

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1 785,756 ლარის ღირებულების „გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ და დანართი N1-ში 7,609,804 ლარის ღირებულების ექსპლუატაციაში მყოფი ხარჯებში ჩამოწერილი გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების“ არსებობის შესახებ.

სამინისტრომ აღრიცხვის ორგანიზებისა და მოვლა-შენახვაზე კონტროლის უზრუნველსაყოფად, შეიმუშაოს არაფინანსური აქტივების, მათ შორის გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივების, ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხვის და ინვენტარიზაციის სააღრიცხვო პოლიტიკა, იმ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებზეც საინვენტარიზაციო ნომრების მინიჭება გართულებულია, ნაცვლად საინვენტარიზაციო ნომრების მინიჭებისა განსაზღვროს და ინვენტარიზაციის უწყისებში ასახოს კონკრეტული მატერიალურ-პასუხისმგებელი პირები და ინვენტარიზაციის უწყისებს თან დაურთოს მატერიალურ-პასუხისმგებელი პირების ხელმოწერები.

გამოუყენებელ და დაზიანებულ აქტივებთან დაკავშირებით სამინისტრომ იმსჯელოს აქტივების შემდგომ გამოყენებაზე, გამოუყენებლობის და შემდგომი სარგებლის მიღების შეუძლებლობის შემთხვევაში, აქტივები გადასცეს მომსახურების სააგენტოს ან გაატაროს სხვა ქმედითი ღონისძიება კანონმდებლობის შესაბამისად.

**1.7 არამატერიალური აქტივები**

სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღრიცხული საფინანსო-ანალიტიკური სამსახურის მიერ შექმნილი საჯარო ფინანსების მართვის ელექტრონული სისტემები და ვებგვერდები, რომლებსაც სამინისტრო იყენებს და სარგებლობს დანიშნულებისამებრ. ასევე სამინისტროში არ არის შემუშავებული, შიდა წარმოების არამატერიალურ აქტივებზე, ხარჯების კაპიტალიზების სააღრიცხვო პოლიტიკა. შესაბამისად, უცნობია მათი რეალური ან საბალანსო ღირებულება. მაგალითად ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ნაჩვენები ისეთი მნიშვნელოვანი სისტემები, როგორიცაა: eBudget - ბიუჯეტის მართვის ელექტრონული სისტემა, eTreasury - სახელმწიფო ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემა, eHRMS - ადამიანური რესურსების მართვის ელექტრონული სისტემა და ა.შ ყველა ზემოაღნიშნულ აქტივებს, სამინისტრო საკუთარი მიზნების მისაღწევად და ფუნქციების შესასრულებლად იყენებს, თუმცა ნაერთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის აღიარებული არამატერიალურ ძირითად აქტივებად.

შედეგად, ვერ მივიღეთ რწმუნება სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში აღრიცხული არამატერიალური აქტივების 9,510,790 ლარის ნაშთის სისრულის შესახებ.

**რეკომენდაცია N7.**

ფინანსთა სამინისტროს

სამინისტრომ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შეაფასოს და აღრიცხოს არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე, შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა შემდგომი დანახარჯების კაპიტალიზებასთან დაკავშირებით.

**1.8 დაზიანებული სკანერი**

შემოსავლების სამსახურის ბალანსზე ირიცხება, 1,394,223 ლარის ღირებულების, ყაზბეგში განთავსებული რენტგენო სკანერი, რომელიც დაზიანებულია და არ

**რეკომენდაცია N8.**

შემოსავლების სამსახურს

ფუნქციონირებს წინა საანგარიშგებო პერიოდში მომხდარი სტიქიური უბედურების შედეგად.

აღნიშნული აქტივის შემდგომი გამოყენების ალბათობა, სარგებლის მიღება და შეკეთების შესაძლებლობა მცირეა, რადგანაც სამსახურის განმარტებით დაკავშირებულია მნიშვნელოვან დანახარჯებთან და ხარჯ-სარგებლიანობის ანალიზიდან გამომდინარე მიზანშეუწონელია.

დაზიანებული აქტივის შესახებ ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი ახსნა-განმარტებით შენიშვნებში.

შედეგად, სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 1,394,223 ლარით.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შემოსავლების სამსახურმა იმსჯელოს დაზიანებული სკანერის აღდგენის მიზანშეუწონილობის და შემდგომში სარგებლის მიღებასთან დაკავშირებით, აღნიშნულის შეუძლებლობის შემთხვევაში იმოქმედოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## 2. სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

### 2.1 სააღრიცხვო პოლიტიკა: საწვავის და მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარება

#### გამოვლენილი გარემოება:

სამინისტროს აპარატში და შემოსავლების სამსახურში არაერთგვაროვანი პრაქტიკა აქვთ საწვავის ხარჯის ჩამოწერასთან დაკავშირებით. სამინისტროს აპარატში 2018 წლის ხარჯად აღიარებულია 2017 წლის დეკემბრის თვის ხარჯი, ხოლო 2018 წლის დეკემბრის ხარჯი ასახულია 2019 წელს. შემოსავლების სამსახურში 2018 წლის ხარჯად აღრიცხულია 13 თვის განმავლობაში პლასტიკური ბარათებით გახარჯული საწვავი. 2018 წლის იანვრის თვეში ხარჯად აღიარებულია 2017 წლის დეკემბრის თვის ხარჯი 157,455 ლარის ოდენობით, ხოლო დეკემბრის თვეში 2018 წლის ნოემბრის და დეკემბრის თვის ხარჯები.

აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის მოქმედი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებთან<sup>16</sup>.

ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მიხედვით, მატერიალური მარაგების საკუთარი მოხმარებისთვის გამოყენება აისახება საქონლისა და მომსახურების ანგარიშის დებეტსა და მატერიალური მარაგების შესაბამისი ანგარიშების კრედიტში – ექსპლუატაციაში გადაცემის დროს. სამინისტროში არ არის ჩამოყალიბებული მატერიალური მარაგების ჩამოწერასთან დაკავშირებული სააღრიცხვო პოლიტიკა. შემოსავლების სამსახურში მატერიალური მარაგების საწყობიდან გასვლის და სხვადასხვა ობიექტებზე მარაგების გადაცემისას ჩამოიწერება პირდაპირ ხარჯებში და არ ხდება მათი გადაცემა და აღრიცხვა ანგარიშვალდებულ პირებზე. მაგალითად: 2018 წელს შემოსავლების სამსახურის საწყობიდან საბაჟო დეპარტამენტის კინოლოგიის სამართველოზე გაცემული იყო ძაღლის საკვები და კომბინირებული ინსექტოკარიციდები, შესაბამისად 13,224 კგ და 842 ცალი სულ ჯამში 125,755 ლარის ოდენობით, რაც საწყობიდან გაცემისთანავე ჩამოწერილია ხარჯებში. ანალოგიური სახით ხარჯებშია ჩამოწერილი საბაჟო გამშვებ პუნქტებზე გაცემული სხვადასხვა სახის მარაგები.<sup>17</sup>

### რეკომენდაცია N9.

ფინანსთა სამინისტროს

სამინისტრომ ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, შეიმუშაოს სააღრიცხვო პოლიტიკა საწვავის და მატერიალური მარაგების ხარჯად აღიარების შესახებ, ასევე აქტივების დაცულობის და შიდა კონტროლის მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით, გაცემული მარაგების ბუღალტრული ჩამოწერა განახორციელოს ფაქტობრივი ხარჯვისას, შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე.

### 2.2 შენობა-ნაგებობები

#### გამოვლენილი გარემოება:

შენობა-ნაგებობების ანგარიშზე მიკუთვნებულია წინა საანგარიშგებო პერიოდებში შესყიდული ისეთი აქტივები, რომლებიც არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილს, მაგალითად: დიზელ-გენერატორები,

<sup>16</sup> მუხლი 17. პირველი პუნქტის „3.ვ“ ქვეპუნქტი

<sup>17</sup> ლუქები 600,500 ცალი, თანხით 405,736 ლარი და დიზელის საწვავი ცისტერნებით 266,050 ლიტრი, თანხით 496,955 ლარი.

|                                                              |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                            |
|--------------------------------------------------------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
|                                                              | <p>ტრანსფორმატორები, ფანკოილები და ა.შ სულ 1,393,906 ლარის ღირებულების მანქანა-დანადგარები.</p> <p>აღნიშნული არ შეესაბამება ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს<sup>18</sup> და აქტივები ექვემდებარება „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის“ ანგარიშზე აღრიცხვას.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
| <p><b>რეკომენდაცია N10</b></p> <p>შემოსავლების სამსახურს</p> | <p>შემოსავლების სამსახურმა ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და აქტივების დაცულობის მიზნით, მანქანა-დანადგარები, რომლებიც არ წარმოადგენენ შენობა-ნაგებობების განუყოფელ ნაწილებს აღრიცხოს შესაბამის საბუღალტრო ანგარიშზე და ყოველწლიურად განახორციელოს მათი ინვენტარიზაცია დადგენილი წესის შესაბამისად.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                      |
| <p><b>2.3 სტრატეგიული მარაგები</b></p>                       | <p>საგამოძიებო სამსახურის ბუღალტრულ ჩანაწერებსა და 2018 წელს ჩატარებული ინვენტარიზაციის უწყისშიც რაოდენობრივად ფიქსირდება 360,704 ერთეული სტრატეგიული მარაგის ფაქტობრივი ნაშთი, რომელიც ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის თანხობრივად აღრიცხული.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>რეკომენდაცია N11</b></p> <p>საგამოძიებო სამსახურს</p>  | <p>საგამოძიებო სამსახურმა, „სტრატეგიული მარაგების“ ნაშთის ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად წარდგენის მიზნით, საკუთრებაში არსებული სტრატეგიული მარაგები, რომელთაც ღირებულება არ გააჩნია შეაფასოს და შესაბამისი ღირებულებით აღრიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <p><b>2.4 ცვეთა</b></p>                                      | <p>2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საგამოძიებო სამსახურის ფინანსურ ანგარიშგებაში რიცხულ 1,486,597 ლარის ოდენობის ძირითად აქტივებზე<sup>19</sup> არ არის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები, ცვეთის ნორმები და შესაბამისად, არ არის დარიცხული ცვეთა.</p> <p>სამინისტროს აპარატის ბალანსზე ირიცხება 141,905 ლარის ძირითადი აქტივი, რომელზეც ცვეთა დარიცხული არ არის.</p> <p>ყოველივე ზემოთ აღნიშნული შეუსაბამოა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანებასთან<sup>20</sup>.</p> |
| <p><b>რეკომენდაცია N12</b></p> <p>ფინანსთა სამინისტროს</p>   | <p>სამინისტრომ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების შესაბამისად სამხედრო აღჭურვილობაზე და სპეციფიკურ აქტივებზე შეიმუშაოს დასარიცხი ცვეთის ნორმები და ცვეთის ხარჯი აღრიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>                                                                                                                                                                                                                                                                                |

<sup>18</sup> მუხლი 144. არაფინანსური აქტივების სააღრიცხვო პოლიტიკა მე-11 პუნქტი

<sup>19</sup> „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“

<sup>20</sup> პირველი მუხლის მე-3 პუნქტი და მუხლი მე-2.

### 3. წინა პერიოდის აუდიტის შედეგად გაცემულ რეკომენდაციებზე რეაგირების საკითხი

|                                                                                                                 |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <p><b>რეკომენდაცია N1.</b><br/>საგამოძიებო სამსახურს</p> <p>შესრულების მდგომარეობა:<br/><b>შეუსრულებელი</b></p> | <p>საგამოძიებო სამსახურმა, ფინანსური ანგარიშგების სამართლიანად წარდგენის მიზნით, ფინანსთა სამინისტროს აპარატის მიერ, საგამოძიებო სამსახურისათვის გაწეული ხარჯები, ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგებაში (ფორმა N2), აღიაროს როგორც შემოსავალი (გრანტი) და ამავდროულად როგორც ხარჯი.</p>                                                                                              |
| <p><b>რეკომენდაცია N2.</b><br/>საგამოძიებო სამსახურს</p> <p>შესრულების მდგომარეობა:<br/><b>შეუსრულებელი</b></p> | <p>საგამოძიებო სამსახურმა, „სტრატეგიული მარაგების“ ნაშთის ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანად წარდგენის მიზნით, საკუთრებაში არსებული სტრატეგიული მარაგები, რომელთაც ღირებულება არ გააჩნია შეაფასოს და შესაბამისი ღირებულებით აღრიცხოს ფინანსურ ანგარიშგებაში.</p>                                                                                                                        |
| <p><b>რეკომენდაცია N3.</b><br/>საგამოძიებო სამსახურს</p> <p>შესრულების მდგომარეობა:<br/><b>შეუსრულებელი</b></p> | <p>საგამოძიებო სამსახურმა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ძირითადი აქტივების ფიზიკური ცვეთის ნორმებისა და მათი ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2002 წლის 31 დეკემბრის N439 ბრძანების შესაბამისად სამხედრო აღჭურვილობაზე შეიმუშაოს დასარიცხი ცვეთის ნორმები და დასამტკიცებლად წარუდგინოს ფინანსთა სამინისტროს.</p>         |
| <p><b>რეკომენდაცია N4.</b><br/>საგამოძიებო სამსახურს</p> <p>შესრულების მდგომარეობა:<br/><b>შეუსრულებელი</b></p> | <p>საგამოძიებო სამსახურმა, სალაროდან გაცემული თანხების მოძრაობის კონტროლის მიზნით, შეიმუშაოს შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა, ნაცვლად ხარჯებში ჩამოწერისა, სასამართლოს მიერ ნივთმტკიცებად ამოღებული თანხები აღრიცხოს „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ ანგარიშზე. ასევე ჩაატაროს შესაბამისი პროცედურები და ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხოს წინა წლებში ნივთმტკიცებად ამოღებული თანხები.</p> |
| <p><b>რეკომენდაცია N5.</b><br/>საგამოძიებო სამსახურს</p> <p>შესრულების მდგომარეობა:<br/><b>შეუსრულებელი</b></p> | <p>საგამოძიებო სამსახურმა, საბიუჯეტო სახსრების ეფექტურად ხარჯვის მიზნით, განსაზღვროს შტატით მომუშავეთა რეალურად საჭირო რიცხოვნობა, რაც უნდა გაითვალისწინოს საშტატო განრიგის დამტკიცებისა და ბიუჯეტის დაგეგმვის ეტაპზე.</p>                                                                                                                                                               |

**რეკომენდაცია N6.**

საგამოძიებო სამსახურს

საგამოძიებო სამსახურმა ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარების, ინვენტარიზაციის პროცესის დროის შემცირების და ეფექტურობის გაზრდის მიზნით:

- ) ინვენტარიზაციას დაქვემდებარებულ აქტივებს მიანიჭოს საინვენტარიზაციო ნომრები (უნიკალური შტრიხკოდები), რაც საშუალებას მისცემს ინვენტარიზაციის დროულად დასრულების მიზნით გამოიყენოს თანამედროვე ტექნოლოგიები;
- ) ვინაიდან ორგანიზაციაში არსებობს ისეთი არაფინანსური აქტივები, რომლებზედაც საინვენტარიზაციო ნომრების მინიჭება გართულებულია, ამიტომ კანონმდებლობის შესაბამისად, საგამოძიებო სამსახურმა შეიმუშაოს არაფინანსური აქტივების ინვენტარიზაციის ინსტრუქცია, რომელიც მორგებული იქნება სამსახურის სპეციფიკას;
- ) რეგიონებში განთავსებულ ოფისებში ფაქტიური ნაშთების აღწერის დროულად ჩასატარებლად, საგამოძიებო სამსახურის უფროსის ბრძანებით განისაზღვროს სამუშაო ჯგუფები;
- ) სახელმწიფო ქონების ეფექტურად განკარგვის მიზნით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მოახდინოს ანგარიშვალდებული პირის იდენტიფიცირება და მიყენებული მატერიალური ზიანის ანაზღაურების მიზნით რეაგირება, ხოლო ასეთის შეუძლებლობის შემთხვევაში, იმოქმედოს კანონმდებლობის შესაბამისად.

შესრულების მდგომარეობა:

**შეუსრულებელი**

#### 4. საკონტაქტო ინფორმაცია

|                                         |                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                           |
|-----------------------------------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| <b>ანგარიშის<br/>ავტორები</b>           | გიორგი ჭოლოკავა - <a href="mailto:gcholokava@sao.ge">gcholokava@sao.ge</a><br>პაპუნა ხოფერია - <a href="mailto:pkhoperia@sao.ge">pkhoperia@sao.ge</a><br>ბესიკ ფერაძე - <a href="mailto:bppheradze@sao.ge">bppheradze@sao.ge</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                          |
| <b>ვებგვერდი და<br/>სოციალური მედია</b> | <a href="https://www.sao.ge/">https://www.sao.ge/</a><br><a href="https://www.budgetmonitor.ge/ka">https://www.budgetmonitor.ge/ka</a><br><a href="http://www.blog.sao.ge/">http://www.blog.sao.ge/</a><br><a href="http://www.sai.ge/main/">http://www.sai.ge/main/</a><br><a href="https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/">https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/</a><br><a href="https://www.youtube.com/user/saogeorgia">https://www.youtube.com/user/saogeorgia</a><br><a href="https://www.facebook.com/www.sao.ge">https://www.facebook.com/www.sao.ge</a> |
| <b>ცხელი ხაზი</b>                       | (+995 32) 243 81 81                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                       |
| <b>ელექტრონული ფოსტა</b>                | <a href="mailto:sao@sao.ge">sao@sao.ge</a>                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                                |

სახელმწიფო აუდიტის სამსახური  
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96  
+995 32 243 84 38